



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 26 ივნისი

დისციპლინური საქმე №197-18-1

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 23 ივლისის №-- საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, მოსამართლის --- მიერ 2015 წლის 11 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების უკანონობაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის 1 აგვისტოს --- სასამართლოს სარჩელით მიმართა --- და ---, მოპასუხის ---, ---, ---, --- მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი --- 2012 წლის 29 ივნისის №--, 2012 წლის 29 ივნისის №--, 2012 წლის 29 ივნისის №--, --- სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 29 ივნისის №-- გადაწყვეტილებები; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა --- .

2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით, --- სააპელაციო სასამართლოს --- გადაწყვეტილებით (მოსამართლე ---) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა --- სასამართლოს --- 2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება. --- და --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება --- და --- მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.

2015 წლის 7 ივლისის განჩინებით --- და --- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. უცვლელად დარჩა --- სააპელაციო სასამართლოს --- 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

აღსანიშნავია, რომ -- -- და -- -- №-- საჩივრის საფუძველზე, დისციპლინური დევნის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრის 2015 წლის 6 ნოემბრის №-- გადაწყვეტილება მოსამართლის -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე. სწორედ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, (არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე საფუძველით გამოტანილი გადაწყვეტილება) მოსამართლის -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობდა დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე საფუძველით გამოტანილი გადაწყვეტილება.“

გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წლის 1 იანვარს კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ზემოხსენებული უფლებამოსილება მიენიჭა დამოუკიდებელი ინსპექტორს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შეწყდეს -- -- მიერ 2018 წლის 23 ივლისს წარმოდგენილი №197 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი